განკარგულება:**გ-37.37210971**
თარიღი:**07/04/2021**

განკარგულება N20

7 აპრილი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით შპს. ,,სატისი"-სთვის (ს/ნ 437066201) გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.05.39.313, 20.0 კვ.მ.), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.25.13.338, 2372.0 კვ.მ.), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.83.342, 20.0 კვ.მ.) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.01.73.186, 2051.0 კვ.მ.) სარგებლობაში, უსასყიდლოთ, უზურფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, იურიდიული პირის არსებობის ვადით, შპს. ,,სატისი"-სთვის (ს/ნ 437066201) გადაცემისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი